PARTNERSHIP AGREEMENT BETWEEN

DIRECTORATE GENERAL FOR ENERGY OF THE EUROPEAN COMMISSION

AND

MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

Covenant of Mayors in Georgia

THIS AGREEMENT IS MADE BETWEEN

The Directorate General for Energy of the European Commission (hereinafter DG ENER), at Rue de Mot 24, BE-1040 Brussels, Belgium represented by Klaus-Dieter Borchardt, Director for Internal Energy Market, and Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia (hereinafter MENRP), at 6 Gulua street, Tbilisi 0114 Georgia represented by Mr.Shalva Amiredjibi, Deputy Minister.

WHEREAS

The European Commission launched in 2008 the Covenant of Mayors, open to cities and municipalities of all sizes in Europe, with the aim of involving local authorities and citizens in the development and implementation of the European Union energy policy. The Covenant consists of the commitment of the signatory cities to go beyond the EU objectives for reducing CO_2 emissions through energy efficiency measures, actions related to renewable energy sources and clean transport.

The European Commission recognises the entities acting as Covenant National Coordinators as its main allies in conveying the message and increasing the impact of the Covenant. These National Coordinators are defined as those national authorities that are in a position to provide strategic guidance and technical support to municipalities with the political will to sign up to the Covenant of Mayors, but lacking the skills and/or resources to meet its requirements, namely the preparation, adoption and implementation of the Sustainable Energy Action Plans.

The MENRP has among its main purposes the cooperation with municipalities in developing their policies and management programmes.

The MENRP has considered very positively the Covenant of Mayors and its potential results since its launch; it is for that reason that it has decided to strengthen the promotion of the Covenant of Mayors among municipalities of its area but also to reinforce its support to the municipalities who decide to formalise their commitment to the Covenant. In order to achieve this, the MENRP is willing to launch a specific program to support local councils to get the condition of accession to the Covenant of Mayors including, among other things, the preparation of Sustainable Energy Action Plans at Municipal level.

IT IS HEREBY AGREED AS FOLLOWS

I

DG ENER publicly acknowledges the MENRP as a major player in the Covenant, in its quality of Covenant National Coordinator for local authorities in Georgia.

II

The MENRP is committed to carry out the following tasks, within the territory of its competence:

a) Promote among the municipalities accession to the Covenant of Mayors.

b) Provide financing to Signatories in the form of direct financial support (grants, subsidies, etc.) or via staff allocated to technical support for the preparation and the implementation of the Sustainable Energy Action Plans.

c) Define the scope and methodology of the assessment, monitoring and verification reports, supporting the implementation of the Action Plans.

d) Provide technical support for the organization of public events (Energy days) to raise awareness to be performed under the Covenant.

e) Report regularly to DG ENER of the European Union Commission on the results obtained in Georgia, and participate in discussions on the strategic implementation of the Covenant proposed by the Commission.

f) Cooperate with all the other Covenant Coordinators involved in the Covenant of Mayors policies within the territory of its competence.

III

DG ENER in turn undertakes to:

a) Provide visibility to initiatives taken by the MENRP (e.g. via theonline profile , web news, benchmarks of excellence on Covenant of Mayors website or via its promotional materials or events)

b) Share and debate available information to make progress in achieving the common goals.

c) Inform in timely fashion on new developments on the Covenant process.

IV

This agreement does not imply any legal and/or budgetary commitment between the Commission and the MENRP.

This agreement shall be renewed automatically every year unless otherwise decided by either of the parties hereto.

The parties shall co-operate and work together on equal terms for their mutual benefit, towards the achievement of the objectives summarised herein. Should any provision or provisions of the present prove to be impracticable, the parties agree to prepare new alternatives for contributing to the aims of the Covenant.

This Agreement is signed in duplicate and translated into both languages (English and Georgian). The parties hereto agree that in the event of any divergence in interpretation between the two versions, the English language text shall in any event prevail.

European Commission Directorate General for Energy	The Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia
Klaus-Dieter Borchardt *Director for Internal Energy Market*	Shalva Amiredjibi *Deputy Minister*

Covenant of Mayors
Committed to local sustainable energy

ხელშეკრულება პარტნიორობაზე

ევროკომისიის ენერგეტიკის გენერალურ დირექტორატსა და

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

შორის

მერების შეთანხმება საქართველოში

ეს ხელშეკრულება დაიდო

ევროკომისიის ენერგეტიკის გენერალურ დირექტორატსა (შემდგომ „დირექტორატი"), [მდებარე რუე დე მოტის ქ. 24, BE-1040 ბრიუსელი, ბელგია], წარმოდგენილს შიდა ენერგეტიკული ბაზრის დირექტორით კლაუს-დიეტერ ბორჩარდტით, და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (შემდგომ „სამინისტრო") [მდებარე გულუას ქ. 6, თბილისი 0114, საქართველო], წარმოდგენილს მინისტრის მოადგილით შალვა ამირეჯიბით

შორის

რამდენადაც:

ევროკომისიამ 2008 წელს წამოიწყო „მერების შეთანხმება", რომელიც ღიაა ყველა ზომის ევროპული ქალაქისა და მუნიციპალიტეტისათვის, იმ მიზნით, რომ ადგილობრივი მმართველობა და მოქალაქეები ჩართულიყვნენ ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. "შეთანხმება" შედგება ვალდებულებისაგან, რომელსაც იღებენ ხელმომწერი ქალაქები, რათა ევროკავშირის მიერ აღებული მიჯნის მიღმა შეამცირონ CO2-ის ემისიები სხვადასხვა ენერგოეფექტური ღონისძიებებითა და განახლებადი ენერგიების წყაროებსა და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტთან დაკავშირებული ქმედებებით.

ევროკომისია აღიარებს ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ "შეთანხმების" ეროვნული კოორდინატორების ფუნქციებს, თავის მთავარ მოკავშირეებად "შეთანხმების" გავრცელებისა და მისი გავლენის გაზრდის საქმეში. ეს ეროვნული კოორდინატორები განისაზღვრებიან, როგორც ეროვნული ხელისუფალნი, რომლებიც უფლებამოსილი არიან გაუწიონ სტრატეგიული ხელმძღვანელობა და ტექნიკური დახმარება მუნიციპალიტეტებს, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური ნება – მოაწერონ ხელი „მერების შეთანხმებას", მაგრამ აკლიათ უნარები და/ან რესურსები შეასრულონ "შეთანხმებით" გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ მოამზადონ, მიიღონ და განახორციელონ მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმები.

სამინისტროს ერთ–ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა პოლიტიკისა და მართვის პროგრამების შემუშავებაში.

სამინისტრო ძალზედ დადებითად აფასებს „მერების შეთანხმებას“ და მისი წამოწყების შემდგომ შესაძლო შედეგებს. ამის გამოა, რომ სამინისტრომ გადაწყვიტა გააძლიეროს ქვეყნის ფარგლებში მუნიციპალიტეტებს შორის „მერების შეთანხმების“ პოპულარიზაცია, ასევე გააძლიეროს იმ მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა, რომელთაც გადაწყვიტეს ოფიციალურად გააფორმონ საკუთარი ვალდებულებები "შეთანხმების" მიმართ. იმისათვის, რომ ეს იქნეს მიღწეული, სამინისტრო გეგმავს წამოიწყოს სპეციალური პროგრამა, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ საკრებულოებს შეასრულონ „მერების შეთანხმებასთან“ მიერთების პირობები, მათ შორის მუნიციპალურ დონეზე მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმების მომზადება.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

I

დირექტორატი საჯაროდ ცნობს სამინისტროს, როგორც "შეთანხმებაში" მთავარ მოქმედ პირს, საქართველოს ადგილობრივ ხელისუფალთათვის "შეთანხმების" ეროვნული კოორდინატორის რანგში.

II

სამინისტრო ვალდებულებას იღებს შეასრულოს შემდეგი ამოცანები იმ ტერიტორიაზე, რომელზეც მისი კომპეტენცია ვრცელდება:

ა. ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტებს „მერების შეთანხმებასთან“ მიერთებაში;

ბ. უზრუნველყოს ხელმომწერთა დაფინანსება უშუალო ფინანსური დახმარების სახით (გრანტი, სუბსიდია და ა.შ.) ან ტექნიკური დახმარებისათვის პერსონალის გამოყოფით მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად და განსახორციელებლად;

გ. განსაზღვროს შეფასების, მონიტორინგისა და შემოწმების ანგარიშების შინაარსი და მეთოდოლოგია, სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშესაწყობად;

დ. უზრუნველყოს ტექნიკური დახმარება "შეთანხმებით"გათვალისწინებულ საქმიანობებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით საჯარო ღონისძიებების („ენერგეტიკის დღე“) ორგანიზებაში.;

ე. რეგულარულად მიაწოდოს ევროკავშირის კომისიის დირექტორატს ანგარიშები მიღწეული შედეგების შესახებ და მონაწილეობა მიიღოს კომისიის მიერ მოწყობილ დისკუსიებში "შეთანხმების" სტრატეგიული განხორციელების შესახებ;

ვ. ითანამშრომლოს "შეთანხმების" სხვა კოორდინატორებთან, რომლებიც მონაწილეობენ „მერების შეთანხმების“ პოლიტიკის განხორციელებაში იმ ტერიტორიაზე, რომელზეც მისი კომპეტენცია ვრცელდება.

III

დირექტორატი თავის მხრივ იღებს ვალდებულებას, რომ

ა. უზრუნველყოს სამინისტროს ინიციატივების თვალსაჩინოება (მაგ. "მერების შეთანხმების" ვებ–გვერდზე ონ–ლაინ პროფილის, ვებ–სიახლეების, ხარისხის ნიშნების ანდა სარეკლამო მასალებისა და ღონისძიებების მეშვეობით);

ბ. გააზიაროს ხელმისაწვდომი ინფორმაცია და მოაწყოს დისკუსიები საერთო მიზნების მიღწევის ხელშეწყობისათვის;

გ. დროულად შეატყობინოს "შეთანხმების" პროცესში განვითარებული სიახლეების შესახებ.

IV

ეს ხელშეკრულება არ ითვალისწინებს არანაირ იურიდიულ და/ან საბიუჯეტო ვალდებულებას კომისიასა და სამინისტროს შორის.

ეს ხელშეკრულება ყოველ წელს განახლდება ავტომატურად, თუ სხვაგვარი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული რომელიმე მხარის მიერ;

მხარეები ითანამშრომლებენ და იმუშავებენ ერთად თანაბარ პირობებში ორივე მხარის სასარგებლოდ, რათა მიაღწიონ ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულ მიზნებს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ამჟამინდელი პირობა ან პირობები აღმოჩნდება განუხორციელებელი, მხარეები თანხმდებიან, რომ მოამზადებენ ახალ ალტერნატივებს შეთანხმების მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

ეს ხელშეკრულება ხელმოწერილია ორ პირად ორ ენაზე (ინგლისურად და ქართულად). მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება შეუსაბამობებს ამ ორ ვერსიას შორის, ინგლისური ვერსია ჩაითვლება უპირატესად.

ევროპის კომისია ენერგეტიკის გენერალური დირექტორატი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
კლაუს-დიეტერ ბორჩარდტი შიდა ენერგეტიკული ბაზრის დირექტორი	შალვა ამირეჯიბი მინისტრის მოადგილე